ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №090503/10/090

ქ.თბილისი 31 აგვისტო 2012 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის მოადგილის თამარ ვარდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „სანდო“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გივი კვესელავას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია- რაიონის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის აღდგენა-შეკეთების სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

2.2. CPV კოდი 45261910.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 14377 (თოთხმეტი ათას სამას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოთა მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი სამუშაოების გათვალისწინებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი.

6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. დაზიანებული საცხოვრებელი სახლების კონკრეტული მისამართები მიმწოდებელს გადაეცემა გამგეობის ინფრასტრუქტურტის განყოფილების თანამშრომლების მიერ;
6.2. სამუშაოები განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 15 სექტემბრამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2012 წლის 25 სექტემბრამდე.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95LB 0125152101627000
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებლის მოადგილე

_____ თ. ჯორდიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „სანდო"
მის. ქ.თბილისი, გლდანის IV მ/რ კ-98ბ
სს „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა 468 966 400
კოდი 220 101 502
საიდენტ. კოდი 200 274 283

დირექტორი

_____ გ. კვესელავა

შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რ-ბა	მასალის ღირებულება		ხელფასი სულ		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	ძველი საფარის მოხსნა დასუფთავება	$მ^2$	965			0.2	193	193
2	ჰიდრო საიზოლაციო მასალის ატანა სახურავზე	ც	107			1	107	107
3	ბითუმი ან მასტიკის წასმა	$მ^2$	965			0.3	289,5	289,5
4	გუდრონი	კგ	250	3	750			750
5	გაზი	კგ.	160	3,25	520			520
6	გადახურვის მოწყობა	$მ^2$	965			1,5	1447,5	1447,5
7	ლინოკრომი	ც	107	63	6741			6741
8	ნარჩენების ჩამოტანა-გატანა	$მ^3$	10			20,78	151,5	207,8
	ჯამი				8011		2244,8	10255,8
	ზედნადები ხარჯები: 10%							1025,58
	ჯამი:							11281,38
	გეგმიური დაგროვება							902,5
	ჯამი:							12183,89
	დღგ. 18%							2193,11
	სულ:							14377

შ.პ.ს. "სანდო"-ს დირექტორი გ. კვესელავა